საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის

მე-4 კვარტლის ანგარიში

2017 წელი

სარჩევი

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი	-3
მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი	- 13
მედიაწარმოების ბლოკი	- 17
წარმოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკი	- 33
ფინანსებისა და ადმინისტრაციის ბლოკი	- 35
იურიდიული სამსახურის ანგარიში	- 39
ადამიანური რესურსების მართვის სამსახური	- 48
სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებლის” არქივი	- 50

ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი

1. მოკლე მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის წინაშე დასმული ამოცანებისა და პროგრამული პრიორიტეტების შესრულების კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვან სიახლეს ახალი ფორმატის ***მოამბე 21:00 საათზე***, ახალი თოქ-შოუები და განახლებული ვებ-პლატფორმა წარმოადგენს. ასევე აღსანიშნავია თვითმართველობის არჩევნების გაშუქება.

საანგარიშო პერიოდში ამუშავდა ახალი ფორმატის საინფორმაციო გამოშვება ***მოამბე 21:00 საათზე.*** ახალმა ფორმატმა სოციალური პრობლემების, მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებების, რიგითი მოქალაქის პრობლემებისა და სხვა არამეინსტრიმული საკითხების ღრმა და მრავალმხრივი გაშუქების საშუალება მოგვცა.

ანალოგიური შესაძლებლობები წარმოაჩინა ახალმა თოქ-შოებმა ***აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად*** და ***კვირის ინტერვიუ.*** არამეინსტრიმული თემატიკა ტრადიციულად შუქდება ***რადიო პირველი არხის*** ისეთ გადაცემებში, როგორებიცაა ***უფლება და თავისუფლება***, ***ჩვენი საქართველო, ეკომეტრი, ღია სტუდია*** და სხვ.

თოქ-შოუები ასახავენ თემებისა და შეხედულებების მრავალფეროვნებას. ეს გადაცემები წარმოადგენს კარგ პლატფორმას სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებული დისკუსიებისათვის.

საანგარიშო პერიოდში ამუშავდა მაუწყებლის ახალი ვებ-გვერდი, რომლის მთავარი გვერდიც ახალ ამბებს ეთმობა. ***1tv.ge*** აერთიანებს მრავალ არხს და წინ წამოწევს კონტენტს.

ქვეყნის პოლიტიკური პროცესებიდან აღსანიშნავია თვითმართველობის არჩევნები და საკონსტიტუციო რეფორმა. ორივე თემას ***პირველი არხის*** საინფორმაციო სამსახურმა და თოქ-შოუებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს. გარდა ამისა, თვითმართველობის არჩევნებს ***პირველმა არხმა*** დაუთმო პროექტი ***თვითმართველობა 2017 - ჩვენ მოვდივართ თქვენთან***. არჩევნებს ცალკე პროექტები დაეთმო ***რადიო პირველი არხის*** ეთერშიც.

გრძელდება საგამოძიებო ჟურნალისტიკის პროექტი ***გამომძიებელი რეპორტიორი***. მომზადდა და ეთერში გადაიცა ორი ფილმი „ხანძრების მბრძანებელი - სახიფათო პროგნოზი, რომელიც უნდა იცოდე!“ და „თბილისის მერიის დარტყმა თბილისის „დინამოს“ კარში“.

საანგარიშო პერიოდში გასული გადაცემების რაოდენობა ასე გამოიყურება:

- ***პირველი არხი***
    - ***აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად*** - 32 გადაცემა
    - ***კვირის ინტერვიუ*** - 9 გადაცემა

- *სპორტის დაფა* - 74 გადაცემა
- *გამომძიებელი რეპორტიორი* - 2 ფილმი

- *რადიო პირველი არხი*
  - *ღია სტუდია* - 65 გადაცემა
  - *საღამოს პიკის საათი* - 64 გადაცემა
  - *ესტაფეტა* - 78 გადაცემა
  - *ჩვენი საქართველო* - 13 გადაცემა
  - *უფლება და თავისუფლება* - 13 გადაცემა
  - *ეკომეტრი* - 14 გადაცემა

2. სიახლეები

2.1. განახლებული ვებ-პლატფორმა



ტრადიციული მაუწყებლის მულტიმედიურ ბრენდად გარდაქმნის გზაზე უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ახალი ამბების მობილურისთვის ადაპტირებული ვებ-პლატფორმის შექმნა და განვითარება. საანგარიშო პერიოდში ამუშავდა მაუწყებლის ახალი ვებ-გვერდი, რომლის მთავარ გვერდიც ახალ ამბებს ეთმობა. ***1tv.ge*** ადაპტირებულია ყველა ტიპის მოწყობილობისთვის. ***1tv.ge*** არის შვიდენოვანი ერთიანი საინფორმაციო პლატფორმა, რომელიც გათვლილია მრავალფეროვან მომხმარებელსა და ინფორმაციის მიღების მრავალ მეთოდზე - კითხვა, მოსმენა, ყურება, ანალიზი და სხვ.

პირველი არხის სარედაქციო სტრატეგია არის „პირველ რიგში ციფრული“: ციფრული ოპერაციები უნდა იყოს ფოკუსირებული ახალ ამბებზე, რეალურად ციფრულ ჟურნალისტიკაზე. ციფრული მიმართულება წარმოადგენს საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტიკის „შუბის წვერს“.

1tv.ge , უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მნიშვნელოვან ახალი ამბებს და მათ განახლებას, ახალ ციფრულ თხრობას, ციფრულ ინფოგრაფიკს, მულტიმედიურ ინტერაქტიულ მონაცემთა ვიზუალიზაციას.

მრავალფეროვანი რუბრიკები, აუდიოსიახლე, ფოტოგალერეა, პირდაპირი ჩართვები საქართველოდან და უცხოეთიდან,— ეს ***პირველი არხის*** განახლებული საიტის მახასიათებელთა მხოლოდ მცირე ჩამონათვალია.

პირველად საქართველოში ვებ-პლატფორმა მკითხველს ახალ ამბებს შვიდ ენაზე სთავაზობს. ქართულისა და ინგლისურის გარდა, ვებ-გვერდზე ახალი ამბები ვრცელდება აფხაზურად, სომხურად, აზერბაიჯანულად, ოსურად და რუსულად.

ინფორმაციის შვიდენოვანი უწყვეტი ნაკადის გარდა ***1tv.ge*** უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას შშმ პირებისთვისაც. აუდიოსიახლის ღილაკზე ერთი დაჭერის შემდეგ ავტომოსაუბრე თავად წაგიკითხავთ საიტზე გამოქვეყნებულ ყველა ამბავს. ეს ფუნქცია კონტენტს ხელმისაწვდომს ხდის მცირემხედველი მომხმარებლებისთვის. ამ ფუნქციის სამიზნე ჯგუფს ასევე წარმოადგენს აუდიტორიის ის ნაწილი, რომლისთვის ნიუსის მოსმენა უფრო მოსახერხებელია (მაგ. ტრანსპორტის ტარების ან ვარჯიშის დროს).

ახალ საიტზე პროგრამა „მოამბის“ ახალი ამბების მრავალწლიანი არქივი კატეგორიების მიხედვითაა განთავსებული, რომელსაც ახლავს ფოტო და ვიდეო მასალა, ასევე სხვადასხვა გადაცემების ვიდეოარქივი, პოლიტიკური თოქ-შოუებიდან საინტერესო მონაკვეთები, პირდაპირი ეთერი ერთკვირიანი გადახვევის ფუნქციით.

საიტზე განთავსებული ახალი ამბების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, საზოგადოებრივი მაუწყებელი მომხმარებელს Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის ახალი ამბების მობილურ აპლიკაციას სთავაზობს. აპლიკაციის ძირითად ფუნქციურ და პროგრამულ მხარეზე მუშაობა დასრულებულია. ამჟამად ტესტირების პროცესი მიმდინარეობს.

ინტერნეტ პლატფორმის პრიორიტეტად დასახვამ და განახლებულმა ვებ-გვერდმა შედეგი გამოიღო - საიტზე ვიზიტორთა რაოდენობამ წინა კვარტალთან შედარებით 19%-ით მოიმატა. ასევე 15,5%-ით გაიზარდა უნიკალურ მომხმარებელთა რაოდენობაც.

კიდევ უფრო დიდი ზრდა (37%) დაფიქსირდა YouTube-არხებზე და მომხარებელთა ყველაზე დიდი ინტერესი სწორედ ახალმა ამბებმა გამოიწვია.

პირველმა არხმა გააძლიერა აქტივობები სოციალური მედიის კუთხითაც. სპეციალურად ***პირველი არხის*** ფეისბუქპლატფორმისთვის მომზადებული კონტენტი თემატურად

მრავალფეროვანია - მნიშვნელოვანი 5 ამბის 60-წამიანი დაიჯესტი და დღის რეზონანსული ამბავი მოკლე დროში.

2.2. არჩევნების გაშუქება

ადგილობრივი თვითმართველობის 2017 წლის არჩევნების ყოველმხრივი და მიუკერძოებელი გაშუქება, როგორც ახალი ამბების, ისე მიმდინარე მოვლენების კონტექსტში ***პირველი არხისთვის*** პრიორიტეტული ამოცანა იყო.

წინასაარჩევნო პერიოდში ინტეგრირებული ნიუსრუმი განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდა. აქცენტი გაკეთდა საარჩევნო სუბიექტების პროგრამების გაშუქებაზე. მაქსიმალურად გაშუქდა ყველა პარტიისა და კოალიციის საარჩევნო ღონისძიება და განცხადება. მნიშნელოვანი ყურადღება გამახვილდა არჩევნების მონიტორინგზე.

არჩევნების სრულფასოვნად გაშუქების მიზნით ***პირველმა არხმა*** შეიმუშავა რამდენიმე პროექტი. წინასაარჩევნო დებატები ***თვითმმართველობა 2017*** ტელე და რადიოს პირდაპირ ეთერში კვირაში სამჯერ გადაიცემოდა. პროექტი სულ 15 გადაცემას მოიცავდა, აქედან 4 თბილისიდან, დანარჩენი 11 გადაცემა კი - რეგიონებიდან გადაიცა.

პირველი გადაცემა დაეთმო ადგილობრივი არჩევნების არსისა და მნიშვნელობის განმარტებას. დანარჩენი ხუთი - მერობის კანდიდატებს შორის დებატებს დაეთმო. პირდაპირი ეთერი გადაიცემოდა ბათუმიდან, ოზურგეთიდან, ფოთიდან, ზუგდიდიდან და ქუთაისიდან. პროექტი 19 ოქტომბერს თბილისის მერობის კანდიდატების დებატებით დასრულდა.

ყოველი გადაცემისთვის წინასწარ მომზადდა მასალები. აუდიტორიას „პროფაილები“ კონკრეტული მუნიციპალიტეტის შესახებ ზოგად ინფორმაციას აწვდიდა. ვიდეომასალებში კი კონკრეტული ადამიანები მოგვითხრობდნენ საკუთარი პრობლემების შესახებ. წინასწარ მომზადდა ქუჩის გამოკითხვა ადგილობრივ მცხოვრებთათვის მტკივნეულ

თემებზე. დებატების ძირითადი ნაწილი სწორედ მოქალაქეების მიერ გაჟღერებულ პრობლემატიკას და მათი გადაჭრის გზებს მიეძღვნა.

დებატებში მონაწილეებისთვის სალაპარაკო დრო ლიმიტირებული იყო. წინასაარჩევნო დებატების მოსმენა რადიო ეთერითაც იყო შესაძლებელი.

წინასაარჩევნო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკმა კიდევ 2 რადიოპროექტი განახორციელა. 18 სექტემბრდიდან 18 ოქტომბრის ჩათვლით ***რადიო პირველი არხის*** გადაცემებში ***ღია სტუდია*** (14:10-14:50) 12 კვალიფიციური სუბიექტის ლიდერები პირდაპირ ეთერში საუბრობდნენ რეგიონებში მერობისა და საკრებულოს წევრობის კანდიდატებზე, ასევე საარჩევნო პროგრამებზე. რადიოპროგრამაში მონაწილეობდნენ პოლიტიკური სუბიექტების კანდიდატები.

გადაცემები გაიმართა ინტერვიუს ფორმატით და მისი თემები წინასწარ იყო ცნობილი.

მეორე პროექტი მიეძღვნა თბილისის მერისა და საკრებულოს არჩევნებს. 19 სექტემბრიდან 17 ოქტომბრის ჩათვლით ***რადიო პირველი არხის*** გადაცემაში ***საღამოს პიკის საათი*** (17:10-17:50) 9 კვალიფიციური (მათთან გათანაბრებული) სუბიექტის მერობის კანდიდატები, ან სიით პირველი ნომრები საუბრობდნენ მათ საარჩევნო პროგრამებსა და კანდიდატებზე.

2.3. მოამბე 21:00 საათზე

საანგარიშო პერიოდში შევიდა ცვლილებები სატელევიზიო საინფორმაციო გამოშვებების დროსა და ფორმატში. დღეისათვის ახალი ამბები ტელეეთერში გადის შემდეგ დროებში: 09:00, 12:00, 15:00, 18:00, 21:00.

მთავარ სიახლეს წარმოადგენს ***მოამბე 21:00 საათზე*** - საღამოს მთავარი გამოშვება, საინფორმაციო ტელეჟურნალი. მთავარი გამოშვება აუდიტორიას მიმდინარე ახალ ამბებთან ერთად, რამდენიმე მნიშვნელოვან, აქტუალურ, კარგად დამუშავებულ და ყველა შესაძლო კონტექსტიდან დანახულ რეპორტაჟს სთავაზობს.

საღამოს მთავარი გამოშვების დროის ცვლილება უკავშირდება რამდენიმე მიზეზს. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა აუდიტორიის ქცევა, ამ დროისთვის ტელეაუდიტორიის აქტივობა აღმავალია, თუმცა პიკმა 21:00 საათისკენ გადაინაცვლა.

გარდა ამისა, ამ გამოშვების ერთ-ერთი ფუნქცია დღის მოვლენების შეჯამებაა. ხშირ შემთხვევაში კი დღის მოვლენების ნაწილი 20:00 საათისთვის დასრულებული არ არის.

ასევე განიხილებოდა 22:00 საათი, რაც ძირითადი საინფორმაციო გამოშვებებისთვის ევროპაში დამკვიდრებული დროა. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ 22 საათზე ქართულ აუდიტორიაში ნიუსის მოხმარება კლებულობს და უპირატესობა გასართობ კონტენტს ენიჭება.

2.4. ახალი გადაცემები

ნოემბერში, პირველმა არხმა დაიწყო ორი ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ ***აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად*** და ***კვირის ინტერვიუ.***

აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად პირველი არხის ეთერშია ორშაბათიდან ხუთშაბათის ჩათვლით, 21:30 საათზე. გადაცემის ქრონომეტრაჟი 45 წუთია.

გადაცემის კონცეფცია უკავშირდება დღის, ან მიმდინარე პერიოდის მნიშვნელოვან, აქტუალურ საკითხს. გადაცემის მიზანია მნიშვნელოვანი და აქტუალური თემის ირგვლივ დამატებითი ინფორმაციისა და არგუმენტების მიწოდება მაყურებლისთვის; პრობლემების იდენტიფიცერება და მათი გადაჭრის გზების მოძიება.

გადაცემაში მონაწილე მთავარი სტუმრები და მოწვეული სპეციალისტები შერჩეულები არიან კომპეტენციის მიხედვით.

გადაცემამ მაყურებელს უნდა შეუქმნას მკაფიო წარმოდგენა თემის მნიშვნელობაზე თითოეული მოქალაქისთვის, თემასთან დაკავშირებულ მთავარ პრობლემებზე.

კვირის ინტერვიუ პირველი არხის ეთერშია ყოველ პარასკევს, 21:30 საათზე. წამყვანი – ირაკლი აბსანძე.

ეს არის 27-წუთიანი ***ჰარდ თოქის*** ტიპის ინტერვიუ. წამყვანი სტუმარს მასთან დაკავშირებულ ყველა რელევანტურ და აქტუალურ

შეკითხვას უსვამს და ცდილობს ამომწურავი პასუხი მიიღოს.

2.5. მატერიალურ-ტექნიკური გადაიარაღება

საანგარიშო პერიოდში ***პირველი არხის*** მენეჯმენტის მიერ შემუშავებული მაუწყებლის გადაიარაღების გეგმის იმპლემენტაცია გაგრძელდა.



გრძელვადიანი პროექტი გულისხმობს მაუწყებლის სხვა შენობაში გადასვლას. საანგარიშო პერიოდში პირველი კორპუსის მესამე სართულზე გაგრძელდა ახალი ნიუსრუმის სარემონტო და სამონტაჟო სამუშაოები.

მაუწყებელმა უკვე შეიძინა სპეციალური მაგიდები, დამონტაჟდა ელექტრო გაყვანილობა, საკაბელო ქსელი და განათების სისტემები. ნიუსრუმის ძირითადი სივრცე დაიბრენდა შემუშავებული დიზაინის მიხედვით.

ამჟამად მიმდინარეობს მესამე სართულზე ინტეგრაციისათვის აუცილებელი დაკაბელება. ახალი კომუნიკაციებით ნიუსრუმი დაუკავშირდება სერვერებს და მოხდება ნიუსრუმის სისტემის ამუშავება. თებერვლის ბოლოს იგეგმება, ნიუსრუმის მეორედან მესამე სართულზე გადატანა.

მაუწყებლის განვითარების გადაიარაღების გეგმის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაწილს რეგიონული ბიუროები წარმოადგენს. საქართველოს რეგიონების თანასწორი და სრულფასოვანი რეპრეზენტატულობის მისაღწევად საზოგადოებრივ მაუწყებლს ყველა რეგიონში უნდა ჰყავდეს კორესპოდენტი, ან, სადაც ეს შესაძლებელია, ითანამშრომლოს ადგილობრივ მედიასუბიექტებთან.

საანგარიშო პერიოდში პირველი არხის ბათუმის ოფისის სამშენებლო სამუშაოების ჩასატარებლად ტენდერი გამოცხადდა. სატენდერო პირობების მიხედვით, ბათუმში ***პირველ არხის*** ახალი სტუდია 2018 წლის ივლისში ამუშავდება.

საანგარიშო პერიოდში პირველი არხის ტექნიკური გადაიარაღების პროცესი გაგრძელდა. მაუწყებელმა ახალი კამერები და მაღალი გამავლობის ავტომანქანები შეიძინა, რაც განსაკუთრებით მნიშვნლეოვანია ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკისთვის.

პირველ არხს ვიდეოკამერების 41 ერთეული კომპლექტი უკვე გადაეცა. ვიდეოკამერებთან ერთად კომპელქტში შედის შესაბამისი სადგამი, განათების სისტემა და რადიო მიკროფონები.

საანგარიშო პერიოდში მაუწყებელმა ახალი ავტომობილებიც შეიძინა. 2017 წელს გამოშვებული 20 ერთეული „სუძუკი-ვიტარა“ ამორტიზებულ ავტოპარკის დიდ ნაწილს ჩაანაცვლებს. „სუძუკი-ვიტარა“ მაღალი გამავლობისაა. მათი ნაწილი რეგიონალურ ბიუროებს უკვე ემსახურება.

ავტოპარკის განახლების პროცესი გაგრძელდება და მომავალ წელს დასრულდება.

2.6. ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის მემორანდუმი

საანგარიშო პერიოდში პირველ არხსა და საქართველოს ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტის თანახმად, მხარეები თანხმდებიან ხანგრძლივ თანამშრომლობაზე და მიზნად ისახავენ თავისუფალი, დემოკრატიული, თანასწორუფლებიანი, სამართლებრივი სახელმწიფოსა და საზოგადოების ჩამოყალიბებაში საქართველოს ეროვნული და რელიგიური უმცირესობების აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობას.

თანამშრომლობის მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს მედია სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც შემუშავდა საზოგადოებრივი მაუწყებლისა და ეროვნული და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლთა თანამშრომლობით.

მემორანდუმი პირველ რიგში ახალი და მიმდინარე ამბების მუშაობაზე აისახება.

უმცირესობებთან მიმართებაში პრიორიტეტებს ***პირველი არხის*** ახალი შვიდენოვანი ვებ-გვერდიც პასუხობს. ინგლისური და ქართული ენების გარდა ***პირველი არხის*** საინფორმაციო ნაკადს შეგიძლიათ გაეცნოთ, აფხაზურ, ოსურ, აზერბაიჯანულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

2.7. **გაშუქებული ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემები**

საანგარიშო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის წინაშე დასმული პროგრამული პრიორიტეტების შესრულების კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიახლე იყო ახალი ფორმატის ***მოამბე 21:00 საათზე*** და ახალი თოქ-შოუები.

მოამბე 21:00 საათზე გამოკვეთილად ორიენტირებულია ექსკლუზიური და არამეინსტრიმული თემების გაშუქებაზე. ასევე სიღრმისეულ და არამეინსტრიმულ გაშუქებას ემსახურება თოქ-შოები ***აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად*** და ***კვირის ინტერვიუ.***

საგამოძიებო ჟურნალისტიკის მიმართულებაზე აგრეთვე მუშაობს ***გამომძიებელი რეპორტიორი***.

არამეინსტრიმული თემატიკა ტრადიციულად შუქდება ***რადიო პირველი არხის*** ისეთ გადაცემებში, როგორებიცაა ***უფლება და თავისუფლება***, ***ჩვენი საქართველო***, ***ეკომეტრი***, ***ღია სტუდია, საღამოს პიკის საათი*** და სხვ.

საანგარიშო პერიოდში ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკის მიერ გაშუქებული ექსლკუზიური, საგამოძიებო და არამეინსტრიმული თემების მცირე ნაწილის ჩამონათვალი იხილეთ დანართის სახით.

3. პრობლემები

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული შესყიდვების მიუხედავად, ახალი და მიმდინარე ამბების ბლოკი კვლავ განიცდის ტექნიკური აღჭურვის და სატრანსპორტო საშუალებების დეფიციტს. არსებული პარკის დიდი ნაწილი მორალურად და ტექნიკურად მოძველებულია.

სერიოზულ პრობლემად რჩება რეგიონებში სრულფასოვანი ბიუროების ჩამოყალიბება და მათი აღჭურვა.

ჩატარებული სამუშაოების მიუხედავად კვლავ პრობლემურია რადიო სიგნალის გავრცელების არეალი და ხარისხი, რაც დაკავშირებულია როგორც გადამცემების ნაკლებობასთან და მათ ტექნიკურ მდგომარეობასთან, ასევე საკანონმდებლო ბარიერებთან.

4. სამომავლო გეგმები

ახალი ნიუსრუმი - ახალ ნიუსრუმში მიმდინარე ტექნიკური სამუშაოები მომავალ კვარტალში დასრულდება და ახალი ამბების ნიუსრუმი მთლიანად გადავა ერთიან სივრცეში.

მობილური აპლიკაცია - საიტზე განთავსებული ახალი ამბების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით, ამუშავდება ***პირველი არხის*** საინფორმაციო მობილური აპლიკაცია, რომლის ძირითად ფუნქციურ და პროგრამულ მხარეზე მუშაობა დასრულებულია. ამჟამად მიმდინარეობს ტესტირების პროცესი.

ახალი ტელეგადაცემები - პირველი არხი მუშაობს რამდენიმე ტელეპროექტზე, რომლიც ეთერში მომავალ კვარტალში გავა. საუბარია ყოველკვირეულ ანალიტიკურ გადაცემაზე, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკას მიეძღვნება. მომავალ კვარტალში ეთერში ასევე ვიხილავთ კვირის შემაჯამებელ ტელეჟურნალსაც. მზადდება კიდევ ორი სადისკუსიო პროგრამა, რომლებიც მიეძღვნება მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ზოგად ღირებულებით საკითხებს.

მულტიმედიური პროექტი - მზადდება კიდევ ერთი ანალიტიკური პროგრამა, რომელიც რადიო და ინტერნეტ აუდიტორიაზეა ორიენტირებული. მასზე ახალი ამბების ანალიტიკური ჯგუფი იმუშავებს. პროექტი დაიწყება შემდეგ საანგარიშო პერიოდში - საუბარია ტექსტურ ინტერვიუზე, რომელიც ვებზე ყოველკვირეულად ფოტომასალის თანხლებით გამოქვეყნდება.

განახლებული რადიო პროგრამები - მომავალ საანგარიშო პერიოდში მაუწყებელი დაამტკიცებს ახალ სამაუწყებლო ბადეს. ამავე პერიოდში იგეგმება განახლებული ეთერით მაუწყებლობა, რაც ახალი და მიმდინარე ამბების რადიო მიმართულების მუშაობაზეც აისახება.

ბათუმის სტუდია - შემდეგ საანგარიშო პერიოდში დაიწყება ***ბათუმის სტუდიაზე*** მუშაობა. შესაბამისად, ***პირველ არხს*** ბათუმში ახალი სტუდია 2018 წლის ივლისში ექნება.

ტექნიკური გადაიარაღება - შემდეგ საანგარიშო პერიოდში იგეგმება სხვადასხვა ვიდეო, აუდიო და კომპიუტერული ტექნიკის, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა. გაგრძელდება ავტოპარკის განახლება.

გაგრძელდება მუშაობა ***რადიომაუწყებლობის*** გაუმჯობესებაზე - იგულისხმება როგორც ახალი გადამცემების და RDS სისტემების დაყენება, ასევე სიხშირეების მოდიფიცირება. ეს პროცესი დამოკიდებულია მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანაზე.

მედიისა და კომუნიკაციის ბლოკი

შესავალი

2017 წლის მეოთხე კვარტლის განმავლობაში მედიისა და კომუნიკაციის ბლოკმა არაერთ მნიშვნელოვან პროექტზე იმუშავა. მათ შორის, განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო საბავშვო ევროვიზიის კონკურსის მასპინძლობა და ახალი ვებგვერდის 1tv.ge ჩაშვება. ასევე, სმარტფონებისთვის ახალი ამბების მობილური აპლიკაციის სატესტო ეტაპზე გადასვლა და არხის სახელის გადარქმევასთან დაკავშირებული სრული რებრენდინგი. ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად საეთერო ბადის დიდი წილი მექანიკური პროდუქციით დატვირთვისა, წინა კვარტალთან მიმართებაში სარეიტინგო მონაცემები სტაბილურად შენარჩუნებულია.

წარმოგიდგენთ ბლოკის მიერ განხორციელებული ყველაზე მნიშვნელოვანი სამუშაოს შესახებ მოკლე მიმოხილვას:

განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებები

ცვლილებები ბადეში

2017 წლის მეოთხე კვარტალში, საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში ჩაეშვა შემდეგი გადაცემები:

- "ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!"-შაბათი 12:15 (გადაცემა ეთერში შევიდა 29.10.2017)
- “ფერმა“-კვირას 12:15 (გადაცემა ეთერში შევიდა 28.10.)
- "ილუზიონი"-შაბათი 23:00 (გადაცემა ეთერში შევიდა 28.10.)
- “აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად“ ორშაბათი-ხუთშაბათი 21:30 (გადაცემა ეთერში შევიდა 06.11.)
- “კვირის ინტერვიუ“- ირაკლი აბსანძე-პარასკევი 21:30 (გადაცემა ეთერში შევიდა 10.11.)
- “პირადი ექიმი“- ორშაბათი-პარასკევი 10:00 (გადაცემა ეთერში შევიდა 13.11.)
- “გამომძიებელი რეპორტიორი“ერთჯერადად (გადაცემა ეთერში გავიდა 30.11.

მარკეტინგის სამსახური

მეოთხე კვარტალის განმავლობაში, მარკეტინგის სამსახურმა დაგეგმა და განახორციელა რიგი მნიშვნელოვანი აქტივობები. ამ სამსახურის მუშაობა ძირითადად ორიენტირებული იყო ოქტომბრის და ნოემბრის თვეში დაგეგმილი ახალი გადაცემების შეფუთვასა და პრომოუშენზე, მათ ეფექტიან ჩაშვებასა და მონიტორინგზე. ასევე, მიმდინარეობდა 2018 წლის სეზონის ახალი გადაცემების პრომოუშენის მომზადება.

IV კვარტლის განმავლობაში მარკეტინგის სამსახურის ორგანიზებით დაიგეგმა და განხორციელდა:

- საბავშვო ევროვიზია
- ახალი გადაცემების საპრომოუშენო კამპანია ეთერში შესვლამდე და შემდეგ
- ახალი შენობის კონკურსი

  საეთერო და რადიო პრომო

  სოციალური ქსელის და ვებგვერდის შეფუთვა

  ხმის მიცემის აპლიკაცია

- ახალი ვებპორტალის პრეზენტაცია
- ორგანიზაციის სახელის ცვლილებასთან დაკავშირებით შესაბამისად შეიფუთა ახალი მანქანები, მიკროფონები, ვებ და სატელევიზიო სივრცე
- მიმდინარე გამორჩეული თარიღები - „ილია ჭავჭავაზე -180“ და „ნიკოლოზ ბარათაშვილი - 200“
- „40+“ ღონისძიება ორგანიზაციის დამსახურებული წევრებისთვის, რომელთაც ტელევიზიაში 40 და მეტი წელი იმსახურეს.
- ტელევიზიის საერთაშორისო დღე
- საახალწლო ეთერის შეფუთვა

მარკეტინგის სამსახურის კვლევისა და ანალიტიკის ჯგუფის მონაცემების მიხედვით, პირველი არხის სარეიტინგო მონაცემების შედარებითი სურათი წინა კვარტალთან მიმართებაში, ასეთია:

მეოთხე კვარტალში პირველი არხის სარეიტინგო მონაცემები თვეების მიხედვით სტაბილურად არის შენარჩუნებული. ყოველთვიური საშუალო რეიტინგი (RTG) თანაბარია. ორივე კვარტალში პირვალი არხის საშუალო რეიტინგი შეადგენს 0,5 %.



თუ წინა კვარტალს შევადარებთ, პირველი არხის აუდიტორია (RCH) 87.90 %-იდან გაზრდილია 91. 57 % მდე



აღსანიშნავია, რომ მეოთხე კვარტალში გაიზარდა დღის ეთერის აუდიტორია და მოიკლო პრაიმტაიმის ყურებადობამ. (RTG’000)



მეოთხე კვარტალის ბოლო თვეში მომიმატა გადაცემა „ფერმის“, საინფორმაციო პროგრამების და შემეცნებითი მიმართულების პროგრამების რეიტინგმა.

o

სარეკლამო სააგენტოებს და კომპანიებს გადაეგზავნათ მეოთხე კვარტლის კომერციული რეკლამის განთავსების პირობები და სასპონსორო, სარეკლამო შეთავაზებები შემდეგ ტრანსლაციებში: „საბავშვო ევროვიზია 2017“, „კალათბურთში 2019 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები“, „ფეხბურთში 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები“, „უეფას ჩემპიონთა ლიგის მატჩები“.

მომსახურეობა გაეწიათ სოციალურ, კომერციულ და უფასო პოლიტიკურ რეკლამებს.

მეოთხე კვარტალში სატელევიზიო კომერციულმა რეკლამის საბარტერო მომსახურეობის ღირებულებამ შეადგინა **57 250** ლარი და 68 თეთრი და **2480** აშშ დოლარი დღგ-ს ჩათვლით. სატელევიზიო კომერციულმა რეკლამის ღირებულებამ- **65 925** ლარი და 95 თეთრი და **36 787** აშშ დოლარი და 51 ცენტი დღგ-ს ჩათვლით.

o

მივლინებები (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი)

ოქტომბერი

- სასტუმრო - 155
- ავიაბილეთი -13

ნოემბერი

- სასტუმრო - 164
- ავიაბილეთი - 8
- მატარებელი - 4
- ბრიტანეთის და ამერიკის ვიზა - 3

დეკემბერი

- სასტუმრო - 81
- ავიაბილეთი - 1



o

საზოგადოებრივი მაუწყებლის მედიამხარდაჭერით გაიმართა მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებები. მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდა მოქალქეების მიერ გამოგზავნილი წერილების დამუშავება და უკუკავშირის განხორციელება მათთან საპასუხო კომუნიკაციის, შეხვედრისა და გაშუქების გზით.

საერთაშორისო მიმართულებით ორგანიზება გაეწია მნიშვნელოვან შეხვედრებს, მიმდინარე ღონისძიებების პარტნიორულ თუ ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. მათ შორის, აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მონაწილეობა მიიღო ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) გენერალურ ასამბლეაზე. ასევე, EBU-ს დელეგაცია სამუშაო ვიზიტით ეწვია საზოგადოებრივ მაუწყებელს.

მზა პროდუქციის შესყიდვისა და თარგმნა-გახმოვანების სამსახური

მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში მზა პროდუქციის შერჩევისა და გახმოვანების სამსახურმა განახორციელა ახალი პროდუქციის შესყიდვა. ახალი სატელევიზიო ბადისთვის კომპანია **"MGM**

International Television Distribution Inc.”-სგან მაუწყებელმა შეისყიდა სატელევიზიო ფორმატი **„ხართ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?“**, ხოლო კომპანია **“Endemol Shine IP B.V.”**-სგან - ფორმატი **„მარტივი ლოგიკა“.**

კომპანია **“Mediaproduccion, S.L.U.“**-სგან შესყიდულ იქნა ორი ესპანური სერიალი - **„ღვინის გზა“** და **„ექვსი და“.** ორივე სერიალი მელოდრამატული ჟანრისაა და გათვალისწინებულია დღის ეთერისათვის.

კომპანია **“Central Partnership Sales House “ LLC**-თან მეოთხე კვარტალში მაუწყებელმა შეისყიდა ბოლო პერიოდში გადაღებული ცნობილი რეჟისორების გახმაურებული მხატვრული ფილმები, ხოლო კომპანია „**Discovery”**-სგან დოკუმენტური ფილმების ორი ციკლი: **“Something Borrowed, Something New”** და **“Cake Boss”.**

პერმანენტულად მიმდინარეობდა ახალი სეზონისთვის კინოპროდუქციის შერჩევა-დახარისხება.

გახმოვანების ჯგუფმა 2017 წლის მეოთხე კვარტალში გაახმოვანა მხატვრული, დოკუმენტური ფილმები, ანიმაციური და მხატვრული სერიალები.

ოქტომბერში - გახმოვანდა 98 საათი (სერიალი - 80სთ, მხ/ფილმი - 6სთ, დოკუმენტური - 12 სთ); **ნოემბერში** - 121 სთ (სერიალი - 69სთ, მხ/ფილმი - 15სთ, დოკუმენტური - 20 სთ, ანიმაცია - 17სთ); **დეკემბერში** - 117 საათი (სერიალი - 50სთ, მხ/ფილმი - 51სთ, დოკუმენტური - 8 სთ, ანიმაცია - 8სთ) . უკვე საბოლოო სახით, ანუ მასტერინგის ჩათვლით, თარგმნა-გახმოვანების ჯგუფმა შეასრულა **336** საათი.

რადიო

რადიო პირველი არხის პროგრამულ პრიორიტეტებში გათვალისწინებულია პრაქტიკულად ყველა ტიპის გადაცემა აუდიტორიის მთელი სპექტრისთვის.

თემატური გადაცემები ეძღვნება ადამიანის უფლებებს, გენდერს, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს, ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას, ეკოლოგიას, და სხვ. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა თვითმმართველობის, განათლების და ჯანდაცვის საკითხებს, სოციალურ თემატიკას. პრიორიტეტულია საგანმანათლებლო და კულტურის მიმართულებები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებს უკავია შემდეგი საათობრივი ზოლები: 14:00-15:00 სთ, 16:00-18:00 სთ, 19:00-20:20 და 22:05-22:20. საინფორმაციო გამოშვება პირდაპირ ეთერშია დილის 8 საათიდან ღამის 11 საათის ჩათვლით, ყოველ სრულ საათზე.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნები. ამასთან დაკავშირებით, რადიოს საინფორმაციო სამსახური, როგორც ინტეგრირებული ნიუსრუმის

ნაწილი, განსაკუთრებულ რეჟიმში მუშაობდა. მაქსიმალურად გაშუქდა ყველა პარტიისა და კოალიციის საარჩევნო ღონისძიებები და განცხადებები.

საანგარიშო პერიოდში, ***რადიო პირველი არხის*** გადაცემებმა და ავტორებმა მოიპოვეს პრიზები 7 სხვადასხვა ნომინაციაში. მათ შორის, „სოლიდარული მედიის“ წოდება მიენიჭა გადაცემას „ღია სტუდია“, მედიაკონკურსში „საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება“ გაიმარჯვა ჟურნალისტმა გიორგი გუგუშვილმა.

ონლაინ მედია

საზოგადოებრივი მაუწყებლის ონლაინ მედიის ჯგუფმა დაასრულა ვებპლატფორმაზე - 1tv.ge მუშაობა. 1tv.ge არის თანამედროვე, მულტიმედიური, მობილურისთვის შექმნილი და დესკტოპზე ადაპტირებული, შვიდენოვანი ერთიანი საინფორმაციო პლატფორმა, რომელიც გათვლილია მრავალფეროვან მომხმარებელსა და ინფორმაციის მიღების მრავალ მეთოდზე - კითხვა, მოსმენა, ყურება, ანალიზი და სხვ.

ვებპორტალი ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

ვებპლატფორმაზე განთავსდა ის კონტენტი, რომელიც 10 სხვადასხვა საიტზე თუ ქვესაიტზე იყო მიმოფანტული და სხვადასხვა სექციებში მათი შინაარსის მიხედვით დიფერენცირება მოხდა.

მომხმარებლის ინტერესებიდან გამომდინარე განვითარდა „პერსონალური კედლის“ კონცეპცია. კონტენტის და მომხმარებლის მრავალფეროვნების საპასუხოდ შექმნილი კონტენტის პერსონალიზების ალგორითმის მიხედვით, მომხმარებელი იღებს მისთვის საინტერესო მასალას.

საზოგადოებრივი მაუწყებელი მომხმარებელს სთავაზობს ახალი ამბების მობილურ აპლიკაციას - Android-ისა და IOS პლატფორმაზე მომუშავე სმარტფონებისთვის. აპლიკაციის ძირითად ფუნქციურ და პროგრამულ მხარეზე მუშაობა დასრულებულია. ამჟამად მიმდინარეობს ტესტირების პროცესი.

ონლაინ მომხმარებელთა რაოდენობა დინამიურად მზარდია ყველა პლატფორმაზე:

მატება (წინა კვარტალთან შედარებით):

18,78% - ვიზიტი საიტზე;

15,52% - უნიკალური მომხმარებელი.

საიტის სტატისტიკა

IV კვარტალი	III კვარტალი
ვიზიტი საიტზე - **4,712,631**	ვიზიტი საიტზე - **3,967,533**
უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში)- **3,678,477**	უნიკალური მომხმარებელი (საშუალოდ დღეში) - **3,184,333**
საშუალოდ დღეში ვიზიტი: **51,224**	საშუალოდ დღეში ვიზიტი - **43,125**
მაქსიმალური მაჩვენებელი - 106,324 (4 დეკემბერი, 2017)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 101,318 (6 სექტემბერი, 2017)

მატება (წინა კვარტალთან შედარებით):

37,00% - ნახვა

იუთუბის სტატისტიკა

IV კვარტალი	III კვარტალი
ნახვა - 12,093,786	ნახვა - 8,830,862
საშუალოდ დღეში ნახვა - 131,454	საშუალოდ დღეში ნახვა - 95,987
მაქსიმალური მაჩვენებელი - 387,906 (5 დეკემბერი, 2017)	მაქსიმალური მაჩვენებელი - 193,620 (23 აგვისტო; 2017)

დღევანდელი მდგომარეობით, Youtube-არხების სტატისტიკით პირველი არხი ერთ-ერთი ლიდერია ქართულ მედიაში.

ვიზიტები YouTube-არხებზე



Channel | Video | Asset | More

Channel	Watch time (hours)	Views	YouTube Red watch time (hours)	YouTube Red views	Average view duration
Georgian Broadcaster	394,829 (61%)	9,084,262 (75%)	207 (37%)	2,985 (62%)	2:36
პირველი არხი სპორტი	70,695 (11%)	707,047 (5.8%)	48 (8.6%)	217 (4.5%)	5:59
გურმანია	41,638 (6.4%)	527,087 (4.4%)	19 (3.5%)	194 (4.0%)	4:44
FirstCaucasian	12,986 (2.0%)	490,548 (4.1%)	2 (0.3%)	53 (1.1%)	1:35
კომუნიკატორი / C სტუდია	10,885 (1.7%)	342,486 (2.8%)	5 (0.8%)	116 (2.4%)	1:54
1tv Live	54,525 (8.4%)	308,461 (2.6%)	29 (5.2%)	154 (3.2%)	10:36
პირველი არხი - ფილმები	32,361 (5.0%)	176,896 (1.5%)	16 (2.9%)	69 (1.4%)	10:58
GeorgiaEurovision	9,602 (1.5%)	170,900 (1.4%)	56 (10%)	423 (8.8%)	3:22
Georgian Public Radio	9,243 (1.4%)	85,192 (0.7%)	164 (30%)	404 (8.4%)	6:30
GPB ARCHIVE	3,667 (0.6%)	57,672 (0.5%)	4 (0.7%)	23 (0.5%)	3:48
რეალური სივრცე	2,495 (0.4%)	34,975 (0.3%)	1 (0.2%)	6 (0.1%)	4:16
ცოცხალი / Live	893 (0.1%)	25,516 (0.2%)	4 (0.8%)	91 (1.9%)	2:05
pustinnik50	472 (0.1%)	16,133 (0.1%)	3 (0.5%)	52 (1.1%)	1:45
წიგნების თარო	773 (0.1%)	8,429 (0.1%)	0 (0.0%)	1 (0.0%)	5:30

სპეციალურად პირველი არხის ფეისბუქპლატფორმისთვის მზადდება თემატურად მრავალფეროვანი კონტენტი:

- მნიშვნელოვანი 5 ამბის 60-წამიანი დაიჯესტი;
- დღის რეზონანსული ამბავი მოკლე დროში (1 წუთი);
- 2-3 წუთიანი "ფიჩერსები", რომლის მიზანი აუდიტორიაში საინტერესო პერსონის წარდგენაა;
- რუბრიკა "მასტერკლასი", რომლის მიზანია, აუდიტორიისთვის საყვარელ ვებ-პროდუქტად იქცეს.

საინფორმაციო ტიპის ვიდეოების ნახვა 4-დან 20 ათასამდე მერყეობს, თემის აქტუალურობის მიხედვით.

ფეისბუქ გვერდების ზოგადი სტატისტიკა 12/2015-12/2017

	გვერდი	12 2015	05 2016	09 2016	10 2016	12 2016	01 2017	03 2017	04 2017	05 2017	07 2017	08 2017	12 2017	Growth From 12 2015
1	პირველი არხი	115,000	135,000	143,000	149,000	155,000	159,000	162,000	164,000	167,000	169,300	172,500	184,500	69,500
2	წიგნებისთარო	3,500	20,900	24,500	26,000	28,400	32,500	38,000	40,000	48,000	54,500	55,100	56,700	53,200
3	გააგრ. საქ.ისტ	15,500						30,200	39,500	46,000	52,500	57,500	62,000	46,500
4	გურმანია	11,200	18,300	26,200	27,000	28,500	30,500	32,300	33,400	34,200	38,300	38,500	40,200	29,000
5	კომ/Cსტუდია	20,000	26,500	28,400	29,000	30,000	31,700	33,200	34,000	34,600	35,000	35,100	35,100	15,100
6	Eurovision	23,200	25,000	25,000	25,000	27,000	30,400	31,100	32,200	32,800	32,800	32,900	34,000	10,800
7	მეექვსეულს	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	33,300	33,300
8	სპორტი	3,000	8,800	15,400	15,700	17,300	18,300	19,100	19,900	20,800	23,500	26,800	31,000	28,000
9	რეალური	10,000	19,100	21,000	21,400	23,200	23,600	27,000	27,600	29,000	30,500	30,500	30,700	20,700
10	პირადი ექიმი	2,000	-	12,400	12,700	13,600	14,000	15,300	15,800	16,300	17,000	17,200	20,800	18,800
11	ადამიანი კამ.	-	17,500	17,600	17,600	17,600	17,600	17,600	17,600	17,600	17,600	17,600	17,600	17,600
12	მოამზე	-	-	-	-	5,000	6,500	10,000	11,000	12,200	13,900	14,400	16,000	16,000
13	ფერმა	3,000	6,700	9,000	9,200	10,000	10,200	10,900	11,100	11,400	11,700	11,700	12,900	9,700
14	ყველა კეთება	7,200	9,400	10,000	10,000	10,000	10,000	10,000	10,300	10,600	12,000	12,000	12,400	5,200
15	სიტ. თამაში	8,200	10,500	11,000	11,000	11,200	11,300	11,400	11,600	11,700	11,800	11,800	11,800	3,600
16	ეკიპაჟი	-	4,600	9,000	9,000	9,600	9,600	9,800	9,800	9,900	9,900	9,900	9,900	9,900
17	სპორტი360°	-	-	-	-	500	2,000	5,100	5,800	6,200	7,100	7,100	7,100	7,100
18	ლიზა	-	-	-	-	2,200	3,200	4,100	4,700	4,900	5,600	5,700	6,600	6,600
19	ჰოპლა	-	-	-	-	1,300	3,200	4,100	4,600	4,800	5,200	5,200	6,200	6,200
20	ტრანსმისია	1,300	3,900	4,400	4,500	4,500	4,500	4,500	4,500	4,600	4,600	4,600	4,600	3,300
21	გამომძიებელი	1,000	1,500	2,800	3,000	3,100	3,200	3,200	3,400	3,500	3,500	3,500	3,500	2,500
22	კაცების დრო	-	-	-	-	700	1,600	2,500	3,000	3,200	3,400	3,400	3,600	3,600
23	დღემეზეუმში	-	2,300	2,400	2,500	2,600	2,800	2,900	3,000	3,000	3,100	3,100	3,100	3,100
24	ილუზიონი	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	3,300	3,300
25	აქტ. თემა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	3,200	3,200
26	ტელემაწი	-	-	1,700	2,000	2,500	2,600	2,600	2,700	2,700	2,700	2,700	2,800	2,800
27	ეკონომეტრი	900			2,100	2,100	2,200	2,500	2,500	2,600	2,600	2,600	2,600	1,700
28	მორე არხი	1,200		2,200	2,200	2,200	2,300	2,300	2,400	2,400	2,400	2,400	2,500	1,300
29	მთავარი	-	200	1,500	1,600	1,750	1,800	2,100	2,200	2,200	2,300	2,300	2,300	2,300
30	ინტერVIEW	-	-	1,500	1,800	1,900	1,900	2,000	2,100	2,100	2,100	2,200	2,200	2,200
31	დღეს							2,000	2,000	2,000	2,000	2,000	2,200	0
32	მუსიკოლოგოს	-	1,400	1,800	1,800	1,800	1,800	1,800	1,800	1,900	1,900	1,900	2,000	2,000
33	ლაბორატორია	-	1,500	1,600	1,600	1,600	1,600	1,600	1,600	1,600	1,600	1,600	1,600	1,600
34	ტელებლოგი	-	1,000	1,200	1,200	1,400	1,500	1,500	1,500	1,500	1,500	1,500	1,500	1,500
35	რანინა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	1,400	1,400
36	ვექტორი	-	900	1,150	1,200	1,200	1,200	1,300	1,300	1,300	1,300	1,300	1,300	1,300
37	ცოცხალი							1,000	1,000	1,100	1,100	1,100	1,100	1,100
38	დოკუმენტ	-	-	-	-	400	800	900	1,000	1,000	1,000	1,000	1,300	1,300
39	თვითმ. 2017	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	900	900
40	ბრაუზერი	-	760	800	800	800	800	800	800	800	800	800	800	800
41	დღეები	-	-	-	-	500	600	660	700	700	700	700	800	800
42	წლის საუკ	-	-	-	-	200	400	460	500	500	500	500	500	500
43	არქივი	-	-	-	-	-	-	300	400	400	400	600	600	600
44	კვირის ინტ	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	500	500	500
	სულ						445,200	508,520	531,300	557,100	585,700	601,300	680,000	450,400

ტოპ 10 პოსტი საიტზე

IV კვარტალი

აირჩიე პირველი არხის ახალი შეწობის დიზაინი.	242,733	(5.15%)
Live - 1TV	47,865	(1.02%)
ხორავას ქუჩაზე მომხდარი მკვლელობის ქრონოლოგია - 1TV მოამბე	40,450	(0.86%)
You searched for - 1TV	32,313	(0.69%)
წათია თოდუა The Voice of Germany-ის გამარჯვებულია - 1TV	30,273	(0.64%)
ძებნილი არასრულწლოვანი სამართალდამცველებს ჩაბარდა [ვიდეო] - 1TV	29,324	(0.62%)
ილია მეორემ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ მიტროპოლიტი შიო მუჯირი დაასახელა - 1TV	23,986	(0.51%)
სადისტრიბუციო კომპანიების დიდმა მანქანებმა შესაძლოა, ქალაქში მხოლოდ ღამის საათებში იმოძრაონ - 1TV	21,368	(0.45%)
წყალტუბოში 17 წლის მოზარდი მოკლეს - 1TV	21,063	(0.45%)
რადიო პირველი არხი - 1TV	20,527	(0.44%)
შსს - წინასწარი ინფორმაციით, ბათუმში ხანძრისას გარდაცვლილია 12 ადამიანი - 1TV	19,962	(0.42%)

მომხმარებლის დემოგრაფია და ინტერესები





ვიზიტების გეოგრაფია

1.	Georgia	2,199,356	(83.49%)
2.	United States	66,920	(2.54%)
3.	Russia	45,325	(1.72%)
4.	Germany	40,414	(1.53%)
5.	Greece	38,720	(1.47%)
6.	France	36,820	(1.40%)
7.	Italy	36,782	(1.40%)
8.	Turkey	26,123	(0.99%)
9.	Israel	17,291	(0.66%)
10.	Spain	17,037	(0.65%)

მოწყობილობები და წვდომის წყაროები

1.	mobile	1,624,732	(61.68%)
2.	desktop	957,669	(36.35%)
3.	tablet	51,878	(1.97%)



სამომავლო გეგმები

დაწყებულია:

- წლიური ღონისძიებების კალენდრის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ორგანიზაციაში მიმდინარე სამუშაო პროცესების კოორდინაციას
- სრულდება პრომოუშენის წარმოების და დაგეგმვის გრაფიკი
- შემუშავების პროცესშია ორგანიზაციის, როგორც ბრენდის, სახელმძღვანელო დოკუმენტი, სადაც პრაქტიკული მაგალითებით იქნება აღწერილი პირველი არხის სავალდებულო პოზიციონირება
- მიმდინარეობს პროდუქტის საკომუნიკაციო სტრატეგიის საკოორდინაციო "გეგმა-დოკუმენტის" შემუშავება. აღნიშნული შაბლონები ხელს შეუწყობს სამუშაო პროცესის კოორდინირებას და შესრულებული სამუშაოების მონიტორინგს.
- დაწყებულია 2018 წლის სპორტული ტრანსლაციების გაყიდვები.
- ახალი სეზონისთვის საბავშვო ტელეპროდუქციის (საბავშვო და ახალგაზრდული სერიალები, მულტფილმები) შერჩევა და ტესტირება.

დაგეგმილია:

- ერთიანი (გადაცემები/მარკეტინგი) ბიუჯეტის ეფექტიანი გადანაწილება, განსაზღვრა

შემუშავების პროცესშია:

- ერთიანი მარკეტინგული სტრატეგია

მედია წარმოების ბლოკის ანგარიში

1. <u>ზოგადი სტატისტიკური მონაცემები</u>

მეოთხე კვარტლის მოცემულობით მედია წარმოებაში მუშაობს **164** ადამიანი აქედან:



მაუწყებლობის ფაზაში გადავიდა 4 სატელევიზიო პროექტი:

რეალური სივრცე
პირადი ექიმი - მარი მალაზონია
ფერმა
ილუზიონი
ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ

წარმოების ფაზაშია (Pre Production) 6 სატელევიზიო პროექტი:

ნაცნობი მელოდიები

წიგნების თარო

ხარ თუ არა მეექვსე კლასელზე ჭკვიანი?!

კულინარიული შოუ-„გურმანია“

ფოტო ლოგიკა

მუსიკალური მეგა შოუ რანინა

მოსამზადებელი ფაზაშია (Pre Production) 4 ვებ პროექტი:

ხანმოკლე მეოცე საუკუნე

მათემატიკის გაკვეთილები

ილუზიონი

გადაცემა აკუსტიკის მულტიმედიური პროექტი

წარმოების ფაზაშია 1 (20 სერიანი) დოკუმენტური ფილმი:

სტოქსი

წარმოების შემდგომ ფაზაშია 4 ფილმი:

ვაკანსია მკვლელის თანამდებობაზე (12 სერია)

უკომენტაროდ (ტელე სპექტაკლი)

კალმასობა (ფილმების სერია)

წერილები მეგობრებს

დასრულდა წარმოება 2 დოკუმენტური ფილმის:

რემისია

შარდენის კვალდაკვალ

ამ ეტაპზე მაუწყებლობის ფაზაშია: 34 რადიო პროექტი:

თავისუფალი ლიტერატურა	კულტურული მემკვიდრეობა	ცხოვრება ხელოვნებაში	აკადემიური სივრცე	მუსიკა რადიო ერთზე	პუბლიცისტური მემკვიდრეობა
რადიობლოგერი	სიტყვა ქართული	სოფლის დილა	სტილი და იდეა	ფოლკლორი რადიო ერთზე	ჩვენი საგანძური
ჩვენი ქალაქის პატარა ამბები	კონსულტაცია რადიო 1 ზე	განსხვავებული აზრი	მიგრაციის მარშუტები	პიკის საათი	შაბათ კვირა რადიო ერთზე
ხაზის რადიო	გალერეა რადიო	რადიოთეატრი	კულტურული მემკვიდრეობა ქართლის ცხოვრება (რადიო)	იყო და არა იყო რა	დო რე მი
იგს ბოქსი	კოლექცია	მუსიკა ღამით	რა სურთ ქალებს	უცნობი მუსიკა რადიო	საუკეთესო წიგნები
	ორიენტირები	კინოფილმი უკრანოდ	რადიოსერიალი	თეატრი რადიო 1 ზე	

2. <u>მნიშვნელოვანი მოვლენები/სამუშაოები/ნაბიჯები/სიახლეები</u>

სატელევიზიო პროექტების ფარგლებში, რომლებიც წარმოების ფაზაში გადავიდნენ , გახორციელდა შემდეგი ამოცანები:

PRODUCTION
შეფუთვის დამზადება
საპრომოციო კამპანიის განხორციელება
სარეკლამო კამპანიის განხორციელება
ონლაინ მედია აქტივობების განხორციელება
ვებ- გვერდის დამზადება
დეკორაციის დამზადება
ტექნიკური რესურსების კომპლექტაცია
დეკორაციის აწყობა
ტექ პრაგონი
საეთერო პრაგონი
ტესტ ჩაწერა
ტესტის მონტაჟი
გადაცემის ჩაწერა(ჩანაწერის შემთხვევაში)

სატელევიზიო პროექტების ფარგლებში, რომლებიც გადავიდნენ წარმოების შემდგომ ფაზაშე გახორციელდა შემდეგი ამოცანები:

POST PRODUCTION
მონტაჟი
გრაფიკა
მუსიკა
ჩაბარება
მაუწყებლობა

<u>მნიშვნელოვანი მოვლენები/სამუშაოები/ნაბიჯები/სიახლეები</u>

1. **2018 წლის სამუშაო გეგმის ფორმირება**- დაიგეგმა მომდევნო - 2018 წლის ჭრილში მედია წარმოების ბლოკის სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანები.
2. **2018 წლის ბიუჯეტის ფორმირება** -განხორციელდა ბიუჯეტის დაგეგმვა (საკონკურსო, ინიცირებული და მედია და კომუნიკაციის ბლოკის მიერ მიღებული დავალებების საფუძველზე)

4. <u>ნაკლებ მნიშვნელოვანი, მაგრამ აღსანიშნავი (მიღწევებიც და ჩავარდნებიც).</u>

NON

5. დინამიკა: მიმდინარე კვარტალში - ეტაპები/ქმედებები/ვადები).

ნოემბერი - დეკემბერი	PRODUCTION
	შეფუთვის დამზადება
	საპრომოციო კამპანიის განხორციელება
	სარეკლამო კამპანიის განხორციელება
	ონლაინ მედია აქტივობების განხორციელება
	ვებ გვერდის დამზადება
	დეკორაციის დამზადება
	ტექნიკური რესურსების კომპლექტაცია
	დეკორაციის აწყობა
	ტექ პრაგონი
	საეთერო პრაგონი
	ტესტ ჩაწერა
	ტესტის მონტაჟი
	გადაცემის ჩაწერა(ჩანაწერის შემთხვევაში)
იანვარი - თებერვალი	POST PRODUCTION
	მონტაჟი
	გრაფიკა
	მუსიკა
	ჩაბარება

6. სერიოზული პრობლემები და მათ დასაძლევად გადადგმული ნაბიჯები, მოგვარების გზები.

- ტექნიკური რესურსების პრობლემა პროექტების განვითარების ფაზაში.

  შენიშვნა: მოგვარების გზები დეკლარირებული იქნება ტექნიკისა და წარმოების ბლოკის ანგარიშში

7. მომავალი კვარტლის გეგმები (მომავალი კვარტლის სიახლეები; უკვე დაწყებულის განვითარება, სხვა).

1. **რადიოს გადაფორმატების პროექტი:**

   მედია და კომუნიკაციის ბლოკისგან მიღებულია რადიოს ალტერნატიული ბადე ზოლების მიხედვით. ბადის გათვალისწინებით, მედია წარმოების ბლოკი უზრუნველყოფს ზოლების მიხედვით შესაბამისი პროექტების ინიცირებას და დაფორმატებას. მედია წარმოების პროექტების განვითარების სამსახური წარადგენს ხედვას და ინიცირებულ ფორმატებს აღმასრულებელ საბჭოზე. ფორმატების დამტკიცების შემდეგ, განხორციელდება არსებული საშტატო ერთეულების გადანაწილება ახალ ფორმატებზე.

მედია წარმოების ბლოკის სამუშაო გეგმა რადიოს დაფორმატების მიმართლებით:

1. მართვის ოპტიმიზაციისთვის შიდა პროცედურების გაწერა
2. პასუხისმგებლობების გამიჯვნა
3. მიღებული ბადის ზოლების გათვალისეინებით ჯგუფის ლიდერების არჩევა მიმ. მიხედვით.

4. ჯგუფის ლიდერებისთვის ზუსტი დავალების ფორმირება
5. ჯგუფის ლიდერებისგან ინფომარციის მიღება შესაბამისი ფორმის მიხედვით:
a. პროექტის მოკლე განმარტება+მიზანი
b. მთავარი სეგმენტები გადაცემაში
c. ადამიანური რესურსი პროექტისთვის (პოზიციებით)
6. ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნა/ ამოცანების დელეგირება
7. ბიუჯეტირება ახალი და განახლებული ფორმატების გათვალისწინებით
8. რადიოს ახალი საშტატოს აწყობა/რანგრება

შემდგომი მოქმედებები რადიოს დაფორმატების უზრუნველსაყოფად (ბლოკებს შორის გადანაწილებული ვალდებულებების გათვალისწინებით):

ვადა	მოქმედებები	პასუხისმგებელი
10-Feb	პროექტების ინიცირება: სინოფსისი: სამუშაო ჯგუფების განსაზღვრა: ბიუჯეტის განაზღვრა:	პროექტების განვითარების სამსახური და ახალი და მიმდ ამზების ბლოკი
12-Feb	პროექტების გაცნობა დამკვეთისთვის (მედია კომუნიკაცია) შეთანხმება/კორექცია	მედია და კომუნიკაციის ბლოკი/რადიოს არხის ხელმძღვანელი/ მედია წარმოება/ ნიუსის ბლოკი
17-Feb	შეთანხმებული პროექტების გათვალისწინებით დეტალიზებული წუთობრივად გაწერილი ბადის შექმნა	მედია და კომუნიკაციის ბლოკი/რადიოს არხის ხელმძღვანელი
20-Feb	პროექტების და წუთობრვი ბადის აღმ. საბჭოზე გატანა/დამტკიცება	აღმ საბჭო
5-Mar	დამტკიცებული პროექტების მიხედვით პილოტების მომზდება/ჩაბარება	მედია წარმოება/ ახალი და მიმდ ამზების ბლოკი
15-Mar	აღმ საბჭოზე პილოტების გატანა/დამტკიცება	აღმ საბჭო
20-Mar	ახალი პროექტების ჩაშვება	მედია წარმოება/ ახალი და მიმდ ამზების ბლოკი

სატელევიზიო პროექტების წარმოების შემდგომ ეტაპზე გადასვლა:

პროექტები ძირითადი ნაწილი გადავიდა წარმოებისა და წარმოების შემდგომ ფაზაში. იმისათვის რომ მაუწყებლობის დადგენილ ვადაში (თებერვლის ბოლო კვირა) განხორციელდეს დამკვეთისთვის (მედია კომუნიკაციის ბლოკი) პროექტების დასრულებული სახით მიწოდება, მომდევნო კვარტლის გეგმიური ამოცანებია:

ტექ პრაგონი
საეთერო პრაგონი
ტესტ ჩაწერა
ტესტის მონტაჟი
გადაცემის ჩაწერა(ჩანაწერის შემთხვევაში)
მონტაჟი
გრაფიკა
მუსიკა
ჩაბარება

წარმოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკი

მიმდინარე საკითხები

1. IV კვარტალში სტუდიების მიხედვით გადაცემების გადანაწილება დასრულდა, ასევე საჭიროების მიხედვით სტუდიების ტექნიკური უზრუნველყოფისთვის აპარატურის ქირავნობაზე და გადაცემების დეკორაციების დამზადებაზე ტენდერები გამოცხადდა.

2. IV კარტალში დაიგეგმა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ინტერნეტ რადიოს ტექნიკური უზრუნველყოფა სტუდიებით.

2. წარმატებით დასრულდა საბავშვო ევროვიზიის კონკურსის პროექტისთვის ტექნიკური უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს : საბავშვო ევროვიზიის გახსნის ცერემონიალის სრულ ტექნიკურ უზრუნველყოფასა და პირდაპირ ტრანსლაციას; მთავარ ლოკაციაზე პრესცენტრების მოწყობას; პრესკონფერენციების პირდაპირ ტრანსლაციას; მთავარი კონცერტის პირდაპირ ეთერში ტრანსლაციას; ასევე ტექნიკური და წარმოების ჯგუფის თანამშრობლების უზრუნველყოფას.

3. პირველი არხის ბადეში განთავსდა პოლიტიკური ზოლის გადაცემები განახლებული სტუდიით, ასევე გადაცემა „პირადი ექიმი“ და საინფორმაციო პროგრამა „ მოამბე“ განახლებული ვიზუალური სახით.

4. გაიწერა 2018 წლის წარმოებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ბლოკის ბიუჯეტი. ტექნიკური გადაიარაღების გეგმის განსახორციელებლად დამატებითი სახსრების მოძიების შემთხვევაში მომზადდა სავარაუდო შესყიდვების დოკუმენტაცია.

5. წარმოების სამსახურის თანამშრომელთათვის, რომლებიც პირველი არხის საინფორმაციო პროგრამა „მოამბეს“ ემსახურებიან, გაიწერა 2018 წლის I კვარტალში განსახორციელებელი სტრუქტურული ცვლილება.

6. დასრულდა რადიოს ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფისთვის გამოცხადებული ტენდერი და შესაბამისად რადიო 1-ის და რადიო 2-ის საეთერო სტუდიაში დამონტაჟდა ახალი სისტემა და ავტომატიზაციის პროგრამა Jazler RS1. განახლდა კომპიუტერული აღჭურვილობა, კომპიუტერში გადატანილი იქნა საეთერო მასალა და დაკოპირდა მონაცემთა ბაზა. კომპიუტერი დაიდგა საეთერო პროგრამის „პლეიაუტის“ უზრუნველყოფისათვის, პროგრამის სამაუწყებლოდ და დამონტაჟდა შესაბამისი ნებართვები მის მასალებთან წვდომისათვის.

7. დასრულდა ახალი „ნიუს რუმისთვის“ კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვისთვის ტენდერი და დაიწყო დაქსელვის პროექტის განხორციელება.

8. ჩაეშვა და წარმატებით ფუნქციონირებს მაუწყებლის ახალი შვიდენოვანი საიტი, მოხდა არქივის გადატანა ახალ სერვერებზე, რომელმაც გაიარა ტესტირება მოსალოდნელი დატვირთვის შესამოწმებლად.

8.თანამგზავრით გადაცემული პროგრამების წვდომის გაუმჯობესების მიზნით დაიწყო მოლაპარაკებები ალტერნატიული სატელიტური პლატფორმის გამოყენების თაობაზე. მოიაზრება „ეუტელსატის“ სატელიტური გავრცელების პლატფორმა.

9. განხორციელდა 2018 წლის ზამთრის ოლიმპიადისათვის მომზადებული სპეციალიზირებული მიმღები სისტემების და კოდირების პლატფორმების რეალურ დროში შემოწმება EBU-ს და ოლიმპიური თამაშების ტექნიკურ ჯგუფთან კოორდინაციის პირობებში. დაგეგმილია კიდევ რამდენიმე ტესტირების ეტაპი.

10. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ დაგეგმილი და შეთანხმებული პროექტის განხორციელება შპს „ტელერადიოცენტრთან“ სატელევიზიო „მეორე არხის“ მაღალი გარჩევადობის HD ფორმატში გავრცელების შესახებ გადაიდო „მეორე არხის“ კონტენტის ჩამოყალიბებამდე- პროექტი ითვალისწინებს შპს „ტელერადიოცენტრის“ სათაო სადგურისათვის დამატებითი HD ლიცენზიის შეძენას, რათა მაუწყებლის „მეორე არხის“ პროგრამები მაღალი გარჩევადობის ფორმატში გავრცელდეს.

11.გავრცელების კონტროლის სამსახურში შემოსული ზარების მიხედვით, 2017 წლის IV კვარტალში საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამების გავრცელებისას დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზის 28 შემთხვევა; რადიო პროგრამების გავრცელებისას ყველა მათგანი გამოწვეული იყო „ სეთ თობ ბოქსის“ რესივერების თვითნებური გადართვის შედეგად, რაც თავის მხრივ ძაბვის ცვალებადობის შედეგად იყო გამოწვეული. რაც შეეხება ტელევიზიას, ხარვეზის მხოლოდ 1 შემთხვევა დაფიქსირდა - ოზურგეთში16.10.2017, ტელეპროგრამების გავრცელების რადიო-სარელეო ხაზიდან პროგრამის მიუწოდებლობის გამო, რაც, თავის მხრივ, გამოწვეული იყო უამინდობის შედეგად ქუთაისი-ოზურგეთის საშუალედო რ/ს სადგურზე ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტით, რომლის აღდგენასაც რამდენიმე საათი დასჭირდა.

11. არჩევნების დროს VPN კავშირი აეწყო საზოგადოებრივ მაუწყებელსა და ცესკოს-ს შორის, სწორად შეირჩა და დაკონფიგურირდა წინასწარ მომზადებული და დაგეგმილი სერვერის ინსტალაცია, მოხდა ვირტუალური, დაშიფრული კავშირით ინორმაციის წამოღება ცესკოდან, რათა თავიდან აგვერიდებინა გარე პირებიდან ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა. ინფორმაციის განახლება ხორციელდებოდა უწყვეტი კავშირით და ონლაინ რეჟიმში, ასევე წინასწარ დაკონფიგურირდა და აიწყო სარეზერვო, ალტერნატიული გზა დაშიფრული კავშირისთვის.

ფინანსებისა და ადმინისტრაციის ბლოკი

ინფორმაცია სსიპ „ საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2017 წლის

IV კვარტალში
გაწეული ხარჯების შესახებ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ 2017 წლის IV კვარტალში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ანგარიშიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 10,958.9 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 5,014.5 ათასი ლარი, სულ 15,973.4 ათასი ლარი.

ხელფასები

2017 წლის IV კვარტალში შრომის ანაზღაურების მიზნით საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 5,217.4 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან 1,531.1 ათასი ლარი. სულ - 6,748.5 ათასი ლარი.

მივლინებები

2017 წლის IV კვარტალში მივლინებების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა საბიუჯეტო სახსრებიდან სულ შეადგინა 394.0 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 37.5 ათასი ლარი. სულ - 431.5 ათასი ლარი.

სამეურვეო საბჭოს ხარჯები

2017 წლის IV კვარტალში საბიუჯეტო სახსრებიდან სამეურვეო საბჭოს ხარჯების დასაფინანსებლად დახარჯული იქნა 124.5 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 25.5 ათასი ლარი. სულ - 150.0 ათასი ლარი.

სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

2017 წლის IV კვარტალში ადმინისტრაციული ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 1,362.0 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა 522.0 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 840.0 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ელ. ენერგია - 90.5 ათასი ლარი;
- წყალი - 30.5 ათასი ლარი;
- ბუნებრივი აირი - 2.2 ათასი ლარი
- დასუფთავება - 36.1 ათასი ლარი;
- საწვავი (ბენზინი,დიზელი) – 65.4 ათასი ლარი;
- ავტომობილების დაზღვევა - 4.2 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის შეკეთება - სათადარიგო ნაწილები - 28.8 ათასი ლარი;
- ავტოპარკის განახლება - 728.8 ათასი ლარი;
- სატელეფონო ხარჯები (მობილური ტელეფონები) – 20.1 ათასი ლარი;
- სხვა სატელეფონო ხარჯები - 16.9 ათასი ლარი;
- საფოსტო მომსახურება - 0.8 ათასი ლარი;
- დაცვის ხარჯები - 78.8 ათასი ლარი;
- თანამშრომლთა დაზღვევის ხარჯი - 120.1 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯი - 1.7 ათასი ლარი;
- სასამართლიო ბაჟი - 1.9 ათასი ლარი;
- ჟურნალ- გაზეთები და წიგნების მოწ. – 4.3 ათასი ლარი
- მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - 24.0 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები - 25.3 ათასი ლარი;
- სანოტარო - სათარჯიმნო მომსახურება - 0.8 ათასი ლარი;
- კონდიციონერებისა და სხვა მანქანა დანადგ. შეძენა - 15.1 ათასი ლარი
- აუდიტორული მომსახურება - 6.7 ათასი ლარი
- მცირე ფასიანი საოფ. ტექნიკა - 7.8 ათასი ლარი
- სხვა ხარჯები - 51.2 ათასი ლარი.

<u>მარკეტინგის ხარჯები</u>

2017 წლის IV კვარტალში მარკეტინგის ხარჯების დასაფინანსებლად გაწეულმა საკასო ხარჯმა 19.4 ათასი ლარი შეადგინა. საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯულ იქნა - 8.2 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 11.2 ათასი ლარი.

- თვისობრივი კვლევა - 0.3 ათასი ლარი;
- სასაჩუქრე პაკეტები - 3.2 ათასი ლარი;
- ბრენდირება - 12.3 ათასი ლარი;
- სხვა მარკეტინგის ხარჯები - 3.6 ათასი ლარი;

პროდიუსინგის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2017 წლის IV კვარტალში სხვადასხვა სახის პროდიუსინგის ხარჯებზე საბიუჯეტო დაფინანსებიდან დახარჯული იქნა 423.1 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 2,193.4 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 2,616.5 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯების ძირითად ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- პირდაპირი ჩართვებისა და ინფორმაციის გადმოგორება (პერეგონები) – 301.3 ათასი ლარი;
- სპორტული გადაცემებისა და ჩემპიონატის ჩვენების უფლებები - 420.6 ათასი ლარი;
- მიმდინარე გადაცემების ხარჯი - 648.6 ათასი ლარი
- ქართული ფილმები - 11.3 ათასი ლარი
- უცხოური ფილმების შესყიდვა - 249.6 ათასი ლარი
- ევროვიზიის ჩვენებასთან დაკავშ. ხარჯი - 973.0
- სხვა დანარჩენი საპროდიუსინგო ხარჯები - 11.9 ათასი ლარი;

საინფორმაციო სამსახურის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2017 წლის IV კვარტალში საინფორმაციო სამსახურის დასაფინანსებლად საბიუჯეტო სახსრებიდან დახარჯული იქნა - 169.5 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 31.0 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 200.5 ათასი ლარი.

მათ შორის აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ინფორმაციის შეძენის ხარჯები - 95.0 ათასი ლარი;
- შესყიდვები - 14.0 ათასი ლარი.
- ვებ-გვერდის შექმნა - 1.0 ათასი ლარი.
- სიგნალის გადმოგორება - 12.8 ათასი ლარი
- საკონსულტაციო მომსახურება - 14.7 ათასი ლარი
- დეკორაციების შესყიდვა - 53.3 ათასი ლარი
- სხვა დანარჩენი საინფორმაციო ხარჯები - 9.8 ათასი ლარი.

ტექნიკის ხარჯები

მაუწყებლის მიერ 2017 წლის IV კვარტალში საბიუჯეტო სახსრებიდან გაწეული საკასო ხარჯების ოდენობამ შეადგინა - 3,676.5 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 89.8 ათასი ლარი. სულ მიიმართა - 3,766.3 ათასი ლარი.

აღნიშნული ხარჯის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- ტელერადიოცენტრი (სიგნალის გავრცელება) – 428.0 ათასი ლარი;
- სატელიტით მომსახურება - 78.4 ათასი ლარი;
- ვებ- მაუწყებლობა და სტრიმინგი - 80.6 ათასი ლარი;
- ჭებში კაბელების გატარება - 6.5 ათასი ლარი;
- ტექნიკის ქირავნობა - 63.5 ათასი ლარი;
- ინტერნეტის ხარჯი - 29.6 ათასი ლარი;
- პროგრამოული უზრუნველყოფა (კიბერნეტიჩესკი) – 11.1 ათასი ლარი;
- კომპიუტერების შესყიდვა - 109.2 ათასი ლარი
- კამერების შესყიდვა - 2,849.4 ათასი ლარი
- სპეცგანათება - 28.2 ათასი ლარი
- სხვა ტექნიკური ხარჯები - 81.9 ათასი ლარი.

<u>სხვა გადასახდელები</u>

2017 წლის IV კვარტალში მაუწყებლის საბიუჯეტო სახსრებიდან აღნიშნულ ხარჯებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა - 423.8 ათასი ლარი, ხოლო ეკონომიკური საქმიანობიდან - 254.9 ათასი ლარი. სულ დახარჯულ იქნა - 678.7 ათასი ლარი.

მათ შორის ძირითადი ნაწილი მოდის შემდეგ კატეგორიებზე:

- მომსახურებაზე გადახდილი დღგ / უკუდაბეგვრის დღგ - 487.7 ათასი ლარი;
- ევროპის მაუწყებელთა კავშირის საწევრო - 119.5 ათასი ლარი;
- საავტორო უფლებები - 37.2 ათასი ლარი.
- მიწის გადასახადი - 16.7 ათასი ლარი
- სხვა გადასახდელები - 17.7 ათასი ლარი

იურიდიული სამსახურის ანგარიში

1. ხელშეკრულებების შესახებ

2017 წლის მე-4 კვარტალში იურიდიული სამსახურის მიერ მომზადდა 323 ხელშეკრულება (მათ შორის, ხელშეკრულებები სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, საიჯარო, სარეკლამო/სასპონსორო და სხვ.).

2. სასამართლოში და სააღსრულებო ბიუროში არსებული საქმეების შესახებ

2.1.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" წინააღმდეგ საერთო სასამართლოებში არსებული საქმეების ნუსხა 2017 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში:

№	მოსარჩელე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	**ფ/პ მამუკა გერმანიშვილი**	სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ **თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად.** კომპენსაციის ნაწილში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" მ. გერმანიშვილის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე ყოველთვიურად 2 000 ლარის ოდენობით, ხოლო, სახ. ბაჟის სახით - 120 ლარის ანაზღურება. _ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გადაწყვეტილება გასაჩივრებული იქნა სააპელაციო წესით. **_ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა და მ. გერმანიშვილს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე** _ მ. გერმანიშვილის მიერ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრდა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელიც ამ ეტაპზე იხილავს საკითხს საჩივრის დასაშვებობის შესახებ
2.	**ფ/პ გიორგი ბაქრაძე**	კომპენსაციის (განაცდურის) სახით 185 000 ლარის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ **სარჩელი არ დაკმაყოფილდა**.
3.	**ფ/პ ილია ნატროშვილი**	სამუშაოდან გათავისუფლების	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის

		შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	გადაწყვეტილებით **სარჩელი არ დაკმაყოფილდა.** _ ამ ეტაპზე საქმე იმყოფება თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში
4.	**ფ/პ ვახტანგ კანდელაკი**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ **სარჩელი არ დაკმაყოფილდა**.
5.	**ფ/პ ეკატერინე მიშველაძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება, მორალური ზიანის ანაზღაურება, საურავის დარიცხვა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუღებელი ხელფასის გამო	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. კერძოდ: **ა) ბათილად იქნა ცნობილი სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება და** **ბ) საზოგადოებრივ მაუწყებელს ე. მიშველაძის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა 30 000 ლარის ოდენობით.** _ სასამართლოს გადაწყვეტილება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში _ სააპელაციო წესით გასაჩივრებულია ასევე ე. მიშველაძის მიერ სასამართლო გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რითაც არ დაკმაყოფილდა სარჩელი. _ ამ ეტაპზე საქმე იმყოფება თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში.
6.	**ფ/პ ეკატერინე მაჭავარიანი**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება,	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
7.	**ფ/პ ბესიკ შარაშიძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ **სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ**, და სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელს" მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა კომპენსაციის გადახდა 22 500 ლარის ოდენობით. _ გადაწყვეტილება ამ ეტაპზე საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გასაჩივრებულია სააპელაციო

			წესით.
8.	**ფ/პ მანანა სარალიძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
9.	**ფ/პ ქეთევან გოგაძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ **სარჩელი არ დაკმაყოფილდა**.
10.	**ფ/პ გაგა მოდებაძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ **სარჩელი დაკმაყოფილდა**. _ სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააპელაციო საჩივრის გამო საქმე იმყოფება თბილისის სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში.
11.	**ფ/პ ნათია ბერსენაძე**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
12.	**საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო**	საჯარო ინფორმაციის გაცემა	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ **სარჩელი არ დაკმაყოფილდა**.
13.	**ფ/პ ლაშა მესხი**	1) შრომითი ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ ნაწილში, რითაც განისაზღვრა მისი მოქმედების ვადა 1 თვით; 2) შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე გენ. დირექტორის გადაწყვეტილების	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.

		ბათილად ცნობა; 3) სამსახურში აღდგენა; 4) იძულებითი მოცდენის ანაზღაურება; 5) პროფკავშირული საქმიანობის და განსხვავებული შეხედულებების გამო მოსარჩელის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა	
14.	**ფ/პ ავთანდილ ძიძიგური**	უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული შემოსავლიდან მოსარჩელისთვის 12 794 ლარის უკან დაბრუნება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
15.	**ფ/პ ნუგზარ რუხაძე**	საავტორო ჰონორარის სახით 276 000 ლარის დაკისრება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში;
16.	**ფ/პ მზია ზაუტაშვილი**	სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება,	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
17.	**ფ/პ ნათია ჯანაშია და ბრიტანულ ქართული აკადემია**	ცილისმწამებლური განცხადების უარყოფა	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
18.	**შპს "სტუდია ფონოგრაფი"**	სატენდერო კომისიის ოქმების და მათ საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წარმოებაში.
19.	**ალექსანდრე ჯანდიერი**	სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა, განაცდურის	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში

		ანაზღაურება	
20.	**ალექსანდრე ჟღენტი**	პლაგიატის აღიარება, საავტორო უფლებების დარღვევების გამო ზიანის ანაზღაურება 100 000 ლარის ოდენობით	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში

2.2

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით არსებული საქმეების ნუსხა 2017 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში:

№	მოპასუხე	დავის საგანი	საქმის წარმოების სტადია
1.	**შპს "Georgian Water & Company"**	სასპონსორო მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის გამო ძირითადი დავალიანების სახით 5 000 აშშ დოლარის (ექვივალენტი ეროვნ. ვალუტაში) და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
2.	**შპს "ტიფლის ტვ"**	საიჯარო ქირის სახით ძირითადი დავალიანების და დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდა, მატერიალური ზიანის ანაზღაურება	_ საქმე იმყოფება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში
3.	**შპს "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"**	ძირითადი დავალიანების და პირგასამტეხლოს სდაკისრება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ **ძირითად დავალიანების ნაწილში სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად. რაც შეეხება პირგასამტეხლოს, ამ ნაწილშიც დაკმაყოფილდა მოთხოვნა, მხოლოდ, შემცირდა პირგასამტეხლოს განაკვეთის ოდენობა და განისაზრრა 0,07%-ის ოდენობით კონკრეტული**

			ხელშეკრულებებთან მიმართებაში.
4.	**შპს "რადიო უცნობი"**	ძირითადი ფულადი დავალიანების და დარიცხული პირგასამტეხლოს ანაზღაურება	_ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. _ გადაწყვეტილების ჩაბარების შემდგომ გვექნება საშუალება ზუსტად მივუთითოთ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი

2.3.

<u>4. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ საერთო სასამართლოებში აღძრულ სარჩელებთან დაკავშირებით დაწყებული სააღსრულებო წარმოება:</u>

- <u>თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააღსრულებო ფურცლები (და შესაბამისად, სასამართლო წარმოება დასრულებულია) მოვალეების:</u> **შპს "კიკალა სტუდიო ტვ"-ს, შპს "ნიუ-რაციოს", შპს "ეი-სი ჯგუფი"-ს, "სატელიტური დაცვის სისტემების უზრუნველყოფის ფონდი"-ს, შპს "ფენიქსის", შპს "კინოსტუდია სანგუკო"-ს, შპს "რაქი"-ს, შპს "ლაივ პრომო"-ს, შპს "ტელე-რადიოკომპანია ტვ-7"-ის, შპს "ნონეიმ სტუდიო"-ს, შპს "მილ პოინტი"-ს, შპს "ნ და გ კომპანის", შპს "S.T. იმპორტი"-ს, შპს "აიბი გრუპი"-ს, ი/მ თამარ კოპალიანის, შპს "მედია ჯგუფი"-ს, შპს ტელეკომპანია "პიკ"-ის, შპს "საზოგადოებრივი კოლეჯი 21-ე საუკუნე"-ს, ფ/პ ადა მჭედლიძის, შპს "საერთაშორისო ბიზნეს განვითარების ცენტრი"-ს, შპს "ამპლიტუდა"-ს, შპს "გრინ ბილდინგი"-ს, შპს "კრეატივ ქორნერი"-ს, შპს "დუტა პროდაქშენ"-ის, შპს "ევრო-კავკასიური უნივერსიტეტი"-ს, ა(ა)იპ "საკალათბურთო კლუბი ვითა"-ს, შპს "პიართაიმი"-ს** და **შპს "ბიოფუდჯორჯია"-ს** მიმართ.

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე საქმე გადახდისუუნარობის (გაკოტრების) შესახებ შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ. სასამართლოს მიერ გაკოტრების მმართველად დანიშნულია თბილისის სააღსრულებო ბიურო. სასამართლოში გადახდისუუნარობის საქმის წარმოებისას (რომელიც გაიხსნა სასამართლოს **18.05.2010წ. განჩინებით**), აღნიშნული კომპანიის მიმართ სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მოთხოვნა მხოლოდ **1 403,23 ლარის** ოდენობით. რაც შეეხება სხვა დავალიანებას, რომელიც შპს "სქაი ჯორჯია"-ს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიმართ წარმოეშვა სარეკლამო მომსახურების საფუძველზე, სასამართლოს მიერ აღნიშნული დავალიანება აღიარებული არ იქნა. შესაბამისად, კანონის თანახმად, სასამართლოში წარდგენილი იქნა სარჩელი სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ შპს "სქაი ჯორჯია"-სთვის **14 318,01 ლარი**ს დაკისრების შესახებ, რომელიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **15.11.2011წ. გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა სრულად და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში**. მაგრამ იმის გამო, რომ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დროს უკვე დაწყებული იყო შპს "სქაი ჯორჯია"-ს მიმართ გაკოტრების საქმის წარმოება და გაკოტრების მმართველად დაინიშნა თბილისის სააღსრულებო ბიურო, **მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს ხელახლა უნდა მოეწვია კრედიტორთა კრება და მიეღო**

გადაწყვეტილება 14 318,01 ლარის ოდენობით შპს "სქაი ჯორჯიას" მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის მოთხოვნის აღიარების თაობაზე.

სასამართლოს მიერ ჩატარდა კრედიტორთა კრება. სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" განცხადება დაკმაყოფილდა და მისი მოთხოვნა აღიარებული იქნა კრედიტორთა მე-6 რიგის მოთხოვნებში.

წარმოება მიმდინარეობს და ჯერ დასრულებული არ არის.

- თბილისის სააღსრულებო ბიუროს წარმოებაშია ასევე სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სააღსრულებო ფურცელი **ფიზიკური პირის ფიქრია მიქაბერიძის** მიმართ, რომლითაც ამ უკანასკნელს სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" სასარგებლოდ დაეკისრა სახ. ბაჟი სახით გადახდილი თანხების ანაზღაურება.

3. საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ

2017 წლის მე-4 კვარტალში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შემოვიდა 16 განცხადება, საიდანაც, დაკმაყოფილდა 9 განცხადება, 3 განცხადება დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ხოლო, 2 განცხადება არ დაკმაყოფილდა. რაც შეეხება 2 განცხადებას (განცხადების ავტორი იყო ერთი და იგივე პიროვნება), ერთ შემთხვევაში განმცხადებელს მიეთითა დაუზუსტებინა მოთხოვნა, ხოლო, მეორე შემთხვევაში გაკეთდა შესაბამისი განმარტება.

4. სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2017 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების ორგანოში/კომისიაში წარმოდგენილი საჩივრების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2017 წლის მე-4 კვარტლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ შემოსულა.

5. სხვა საკითხების შესახებ

სხვა მხრივ, იურიდიული სამსახური თავისი ფუნქციებიდან გამომდინარე, მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით იძლევა სამართლებრივ კონსულტაციებს, ამზადებს სხვადასხვა სახის წერილებს, ბრძანებებს, მემორანდუმებს, შესაბამის აქტებს, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებებს.

სასამართლოში არსებული საქმეების შესახებ *(დეტალურად იხილეთ დანართი #)*





<u>შენიშვნა</u>: 2016 წელს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ წინააღმდეგ აღძრული 4 სარჩელი დასრულდა მაუწყებლის ინტერესების სასარგებლოდ



<u>შენიშვნა</u>: 2016 წელს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ინიციატივით აღძრული 5 სარჩელი დასრულდა მაუწყებლის სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებით (ზოგიერთ საქმეზე მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ანუ პირგასამტეხლოს ოდენობის ნაწილში განსხვავებული ოდენობით)

ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ანგარიში

1. ინფორმაცია 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" დასაქმებული იყო 1 173 თანამშრომელი (მათ შორის 474 ქალი).

2. ინფორმაცია 2017 წლის ოქტომბერი, ნოემბერი და დეკემბრის მდგომარეობით

ა) 2017 წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში"

- სხვა სამუშაო შეთავსებული ჰქონდა 30 თანამშრომელს;
- სამუშაოზე მიღებული იქნა 23 თანამშრომელი;
- შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა 6 თანამშრომელთან;
- დეკრეტულ შვებულებაში იმყოფებოდა 6 თანამშრომელი;
- 2017 წლის ოქტომბრის თვეში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელმა" მიიღო 3 სტაჟიორი.

ბ) 2017 წლის 30 ნოემბერი მდგომარეობით, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში"

- სხვა სამუშაო შეთავსებული ჰქონდა 24 თანამშრომელს;
- სამუშაოზე მიღებული იქნა 13 თანამშრომელი;
- შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა 10 თანამშრომელთან;
- დეკრეტულ შევებულებაში იმყოფებოდა 5 თანამშრომელი;
- 2017 წლის ნოემბრის თვეში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელმა" მიიღო 3 სტაჟიორი.

გ) 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში"

- სხვა სამუშაო შეთავსებული ჰქონდა 24 თანამშრომელს;
- სამუშაოზე მიღებული იქნა 7 თანამშრომელი;
- შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა შეწყდა 11 თანამშრომელთან;
- დეკრეტულ შევებულებაში იმყოფებოდა 3 თანამშრომელი;
- 2017 წლის დეკემბრის თვეში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელმა" მიიღო 13 სტაჟიორი.

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის 2017 წლის მე-4 კვარტლის მონაცემები (დეტალურად იხილეთ დანართი #)

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" დასაქმებული იყო 1 173 თანამშრომელი





პირველი არხის არქივი

საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივის ყველა სამსახური აგრძელებს მუშაობას ჩვეულ რეჟიმში - ახორციელებს ძველი აუდიო, ვიდეო, ფოტო მასალის გაშიფვრას, ახალ მატარებელზე გადატანას და ანოტირებას, ასევე უახლესი, მიმდინარე მასალის დაარქივებას. არქივი აქტიურად განაგრძობს მუშაობას, რათა საკუთარი რესურსით გაციფროს არსებული ფონდების თუნდაც უმცირესი ნაწილი მაინც.

2017 წლის მეოთხე კვარტალში ჩატარდა არქივის გაციფრებისთვის საერთაშორისო ტენდერი. საერთაშორისო ტენდერის შედეგებით გამოირკვა არქივის სრული გაციფრებისა და კატალოგიზაციისთვის სხვადასხვა, საერთაშორისო, ამ სფეროში მოღვაწე კომპანიის შემოთავაზებები.

არქივი სამსახურის „ფეისბუქ გვერდსა“ და „იუთუბ არხზე“ პერიოდულად იტვირთება საზოგადოებრივი მაუწყებლის ვიდეო არქივში დაცული უნიკალური მასალებიდან ფრაგმენტები. ამ არხების არსებობის მიზანია, წარმოდგენა შეუქმნას საზოგადოებას, თუ რამდენად უნიკალური მასალაა დაცული საზოგადოებრივი მაუწყებლის არქივში.

გარდა მიმდინარე სამუშაოებისა, არქივის სამსახური მუდმივად აკმაყოფილებს გარე მომხმარებლის მოთხოვნებს სხვადასხვა შინაარსის მასალაზე. 2017 წლის IV კვარტალში გარე მოთხოვნის საფუძველზე გაყიდული მასალით საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტში შემოსული თანხა შეადგენს 2815 ლარს.

კინო-ფოტო და ვიდეო ფონდებში შესრულებული სამუშაოს ანგარიში

ვიდეოფონდის მონაცემთა ერთიან ბაზაში აღრიცხული და სისტემატიზირებულია (გაშიფრული, შინაარსობრივად დამუშავებული მიმდინარე გადაცემები, ძველი ვიდეომატარებლებიდან და კინო ფირებიდან ციფრულ DVCAM-

DVD მატარებლებზე გადატანილი) სატელევიზიო პროგრამები და ფილმები. სულ: 635 ჩანაწერი, 420 საათზე მეტი ქრონომეტრაჟის აუდიო–ვიზუალური მასალა.

დაარქივდა (DVD, DVCAM მატარებლებზე) ძველი და მიმდინარე გადაცემები და სხვადასხვა ტიპის ვიდეო მასალა; ვიდეოფონდის სამონტაჟოებზე ჩაიწერა შიდა გამოყენებისთვის, გარე ორგანიზაციებისა, თუ მოქალაქეებისთვის 229 ერთეული (321 საათი და 35 წუთზე მეტი ქრონომეტრაჟის) აუდიო-ვიზუალური მასალა. მათ შორის რესტავრაცია-კორექცია ჩაუტარდა - 26 ერთეულ (32 საათი და 15 წთ-ზე მეტი ქრონომეტრაჟის) სხვადასხვა ტიპის აუდიო-ვიდეო მასალას.

“დიდი ვიდეოფირებიდან” (პირველი თაობის 55 მმ.Q ფორმატის ვიდეოფირებიდან) გადატანილია ციფრულ (DVCAM) მატარებლებზე 9 ერთეული აუდიოვიზუალური მასალა (დაახლოებით 4 საათი და 25 წთ).

პარალელურად მიმდინარეობს საინფორმაციო ბაზის სრულყოფა, კერძოდ-უზუსტობების აღმოფხვრა; თარიღების დადგენა, დაზუსტება; დამატებითი დეტალების შეტანა; კორექტურის გასწორება და სხვა.

ვიდეოთეკა მომსახურებას უწევს ყველა თანამშრომელს საეთერო კონტენტის მომზადებისას, აწვდის მათ მასალას მოთხოვნის შესაბამისად.

კინო-ფოტო ფონდი

კინოფონდში-16 მმ. კინოფირებიდან, ციფრულ (DVCAM) მატარებელზე გადატანილია 21 ერთეული, 79 ნაწილი (უხმო და ხმოვანი) 13 საათისა და 10 წუთის მასალა; აქედან: უნიკალური მონიტორული გადაღება: 4 ერთეული, 51 ნაწილი (შემეცნებითი, მუსიკალური და სატ. სპექტაკლი) 8 საათი და 30 წუთი. უხმო მასალა - 28 ნაწილი, 4:40 სთ.

დამუშავებულია 82 კოლოფი კინომასალა (გაწმენდა, შეწებება, პერფორაციების და რაკორდების აღდგენა). ფოტო ფონდში-დასკანერებულია და საინფორმაციო ბაზაში

შეტანილია 637 ფოტოანაბეჭდი. მიმდინარეობს შიდა და გარე მომხმარებლის მომსახურება.

აუდიოფონდი

აუდიო არქივში მომუშავე 8 სტუდიამ კატალოგი შეავსო და სერვერში გადაწერა მასალა 1143 მატარებლიდან, სულ- 216 საათი, 37 წუთი და 39 წამი, ჯამში 130,7 GB მეხსიერების მოცულობა.

გარდა ამისა, თანამშრომლების ნაწილმა მოახდინა DVD-ს მატერებლების საფონდო ფირების ინვენტარიზაცია: 27600–დან 35000–მდე.

აღნიშნულ მასალაზე ინფორმაცია ზუსტდება კატალოგში და ასე იქმნება მეტამონაცემები. დაზღვევის მიზნით სერვერიდან იწერება მასალა DVD (42 ერთეული) და XDVCAM (10 ცალი) მატარებლებზე.

აუდიო არქივი მოემსახურა საზოგადოებრივი მაუწყებლის რადიო სტუდიებს მოთხოვნის შესაბამისად და მიაწოდა მათ სასურველი მასალა.

გარდა ამისა, აუდიო არქივმა მომსახურება გაუწია გარე მომხმარებლებს.

საინფორმაციოს არქივის განყოფილება

2017 წლის მეოთხე კვარტალში ეთერში გასული მასალა - სიუჟეტები, კადრ-სინქრონები და გადაფარვები: დეტალურად გაშიფრული და დაარქივებულია 10319 ფაილი, რამაც შეადგინა 160 საათი; შევსებულია და საძიებო ბაზაშია შეტანილი 4143 ბარათი.

გაშიფრული და დაარქივებულია 10319 ფაილი, სულ 158,5 საათი, 2060 GB მოცულობა. მონაცემთა ბაზაში შევიდა 1348 ბარათი.

შავი მასალა - გაშიფრული და დაარქივებულია მასალა 40 ცალ (DVC-ის) კასეტაზე, რაც შეადგენს 120 საათს; შევსებულია და საძიებო ბაზაშია შეტანილი 302 ბარათი. გარდა ამისა, შევსებულია 6 ცალი სამსაათიანი კასეტა პირდაპირი ეთერის ჩანაწერი.

საინფორმაციო არქივი ემსახურება მოამბისა და პროგრამების თანამშრომლებს და სამსახურებს მოთხოვნის შესაბამისად, აწვდის მათ მასალას და ინფორმაციას კონტენტის მომზადებისა და ანალიზისთვის. გარდა ამისა, მომსახურებას უწევს გარე მომხარებლების მოთხოვნებს მათი წერილობითი მომართვის საფუძველზე.